ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გიორგი ახვლედიანის

2018 წლის 01 ნოემბრიდან 2019 წლის 01 ნოემბრამდე საქმიანობის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 88-ე მუხლის და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №26-113 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის" შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

მოგახსენებთ, როგორც საკრებულოს წევრმა და საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ 2018 წლის 01 ნოემბრიდან 2019 წლის 01 ნოემბრამდე მონაწილეობა მივიღე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 19 და საკრებულოს 18 სხდომაში, სადაც მიღებულ იქნა 98 დადგენილება და 434 განკარგულება. აქვე მოგახსენებთ იმასაც, რომ ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიების წევრი. ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის წევრი.

ჩემი, როგორც ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრისა და თავმჯდომარის პირველი მაოდგილის ვალია ვემსახურო მოქალაქეების ინტერესებს და ვუზრუნველყო მათი პრობლემების მოგვარება. გამომდინარე აქედან, დედაქალაქის მოსახლეობის საკითხების გაცნობისა და მოგვარების მიზნით მოქალაქეთა მიღების ერთი სამუშაო დღე, რომლის ფარგლებში პირადად გავესაუბრე 359 მოქალაქეს . მათ მიერ დასმული საკითხების პირადად ადგილზე გასაცნობად, ჩემი სამდივნოს მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ იქნა 37 გასვლითი შეხვედრა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა მოსახლეობასთან შეხვედრებს ვმართავდი შესაბამისი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარებთან ერთად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს წევრმა მონაწილეობა მივიღე ფრაქციის 22 სხდომაში, სადაც განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 25 საკითხი.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს სხდომაზე შევისწავლეთ დედაქალაქისათვის ისეთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხები, როგორიც არის:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და სამშენებლო რეგულაციები;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წილის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში;

დედაქალაქის სატრანსპორტო კომპანიისა და თბილისის მერიის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს სატრანსპორტო სქემის, ინფრასტრუქტურასა და შესაბამისი სერვისების განვითარების შესახებ და სხვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 16 სხდომა, განხილულ იქნა 43 საკითხი. კომისიის საქმიანობის პრიორიტეტებიდან გამომდინარე აქტიური მონაწილეობა მივიღე კომისიის მუშაობის პროცესში . განვიხილეთ მუნიციპალიტეტისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის

მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და სხვა.

მუნიციპალიტეტის ავტოპარკის განახლების მიზნით თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ მიმდინარე წელს, დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკიდან გამომდინარე შეიძინა 220 ერთეული ISUZU-ს მარკის ავტობუსი, რომელიც 53 მგზავრზეა გათვლილი, აქვს 21 დასაჯდომი ადგილი და სრულიად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

უნდა აღინიშნოს, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულაციების წესისა და პარკირების საფასურის შემოტანა, რაც გულისხმობს ზონალური - საათობრივი პარკირების შემოღებას. აღნიშნული ცვლილების მიზანს წარმოადგენს პარკირების სისტემის სრულყოფა, ქუჩის მცხოვრებთა საკუთრებაში არსებული მსუბუქი ავტო მანქანების განთავსების გამარტივება, ქუჩებზე სატრანსპორტო ნაკადების შემცირება. ზონალურ-საათობრივი პარკირება ამჟამად ვრცელდება კოტე აფხაზის ქუჩაზე, აბანოს ქუჩაზე, გრიშაშვილის ქუჩაზე და ორბელიანის მოედანზე.

დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკიდან გამომდინარე ტაქსების რეფორმის პარალელურად, თბილისის მთავრობა ახორციელებს „მეტროპოლიტენისა" და მეტროს ვაგონების რეაბილიტაციას, რაც გულისხმობს თბილისის მეტროსათვის 40 ახალ ვაგონის შესყიდვას (რაც მეტროს სისტემაში ათი ახალი მატარებელია) .

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სარევიზიო კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 17 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 37 საკითხი. 2018 წლის 01 ნოემბრიდან 2019 წლის 01 ნოემბრამდე სარევიზიო კომისიის მიერ შემოწმდა სამუშაო გეგმით გათვალისწინებული 25 ორგანიზაცია. შემოწმებისას აღმოჩენილი დარღვევები ორგანიზაციებს გაეცნოთ ოფიციალურად და გაეწიათ მათ რეკომენდაციები. ვესწრებოდი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით გამართულ სამუშაო შეხვედრას , რომელიც შედგა სარევიზიო კომისიის თანამშრომლებსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურებს შორის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერულ საბჭომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შეიმუშავა და საკრებულოს სხდომაზე დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 – 2020 წლების სამოქმედო გეგმის დოკუმენტი. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა არა ერთი ღონისძიება, როგორიცაა:

- „ერთად ვეძებოთ გზები" - შეხვედრას საკრებულოს წევრები, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში გენდერულ საკითხებზე მომუშავე პირები, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე და ბიზნეს სექტორში დასაქმებული ქალები ესწრებოდნენ;

- აზიის განვითარების ბანკის მონაწილეობით გაიმართა კონფერენცია „ გენდერის საკითხები ურბანული მმართველობისა და ტრანსპორტის სფეროში“ , სადაც მონაწილეობა მივიღეთ გენდერული საბჭოს წევრებმა;
- გენდერულმა საბჭოს წევრებმა გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებულ პროექტში მივიღეთ მონაწილეობა. ასევე ჩატარდა ტრენინგი თემაზე: გენდერული სტატისტიკა და ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის შედეგები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ , რომლის წევრიც გახლავართ. კომისიის პრიორიტეტია წლობით შეჩერებული მშენებლობების დასრულება. მნიშვნელოვანია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და სამშენებლო კომპანია m2-ს შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომლის თანახმადაც კომპანია „სვეტი“- მა 2500- მდე დაზარალებულ ოჯახს საცხოვრებელ ბინები გადაეცა. ამავე კომისიის ფარგლებში მიმდინარეობს „ცენტრ პოინტის“ მშენებლობის შედეგად დაზარალებულებთან სამუშაო შეხვედრები.

დედაქალაქში, საანგარიშო პერიოდში თბილისის მთავრობის მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები:

ორბელიანის მოედინის რეაბილიტაცია;

მოსკოვის გამზირზე მულტიფუნქციური რეკრეაციული სივრცის მოწყობა;

უკვე დასრულდა ბუდაპეშტი - კანდელაკის ქუჩების რეაბილიტაცია;

ასევე დასრულდა ვილნიუსის სკვერის რეაბილიტაცია;

წყნეთში გაიხსნა მუნიციპალური სპორტული ცენტრი;

დასრულდა ქოშიგორას დასახლებაში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;

დასრულდა გლდანში პარკის განახლების სამუშაოები და სხვა.

გარდა ამისა, როგორც საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს წევრი, მონაწილეობას ვიღებდი და აქტიურად ვიყავი ჩართული ყველა იმ ღონისძიებაში, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით გაიმართა. ასევე, მონაწილეობას მივიღე თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მასპინძლობას ვუწევდი სხვადასხვა ქვეყნიდან სამუშაო ვიზიტით ჩამოსულ სტუმრებს. შეხვედრებზე განვიხილეთ ორმხრივი თანამშრომლობის მიმდინარე პრიორიტეტები და სამომავლო გეგმები.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გიორგი ახვლედიანი